

საქართველო

„მე“

ახალი ხანა

I



№ 000000



თბილისი



აქიშვილი

„მნ“

ახალი ანბანი

36742

ძინადი სარკებ ღოობისა,  
იტლდე, ძიბნას დაესენ!  
იეზუ შენ მუშა ქვეყნისა...  
მაცრას იკითხე ჯერ ეს: „მ“.  
აკაკი

წიგნი V

გ ა ს ა რ თ ე ბ ი



თბილისი



Дозв. цензурою. Тифлисъ, 17 Января 1892 г.

სტამბა წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

---

Тип. Груз. Издат. Товарищ.

## გამოცანები

ქათომარა, მათათომარა,  
სახელს რომ გეტყვი,  
გვარს მიტომ არა.

---


ერთი რამცა, თეთრი რამცა,  
თეთრად გადაპენტილამცა;  
ვინც ამას ვერ გამოიცნობს,  
ცრუც არის და პენტელაცა.

---


უიგნით ხომ გული გულია,  
გარედგან ქერქი ატლასი;  
იმას რომ ჯარი ეხვევა,  
მეომარია ათასი.



## მნელი ასანთები



რი ყმაწვილი დააჩო-  
ქეს იატაკზედ. ორი-  
ვენი დანდობილი იყვნენ  
მხოლოდ მარცხენა ფე-  
ხის მუხლზედ და მარჯვენა ფეხის კოჭზედ კი




მოჭიდებული ჰქონდათ მარჯვენა ხელი,  
რო, ვინიცობაა, მარჯვენა ფეხი იატაკზე

არ დაეკარებინათ. მისცეს მარცხენა ხელში ერთსაცა და მეორესაც თითო სანთელი. ერთისა ანთებული იყო, მეორისა გამქრალა, და უნდა ამ მეორეს იმ პირველის სანთელზედ თავისიც აენთო. მაგრამ, რამდენიც ყმაწვილები სანთელს სანთელთან მიიტანდნენ და, ის იყო, უნდა მოეკიდებინათ, — ხან ერთი გადაგორდებოდა, ხან მეორე, და ხალხში საშინელი სიცილი ასტყდებოდა ხოლმე.

აბა თქვენ თუ ანთებთ ასე სანთელს?



## გამოცანა



ალი და კაცი ერთ ცხენ-  
ზედ ისხდნენ და მოდიო-  
დნენ. გზად სოფელი გამო-  
იარეს. აქ ამ სოფლის ხალხი  
მოგროვილიყო და, ქალი და კაცი რო ერთ  
ცხენზე მსხდომარენი დაინახეს, დაცინვა და-  
უწყეს. ქალმა ეს შეამჩნია და, ახლოს რო  
მივიდა, ცხენ-და-ცხენ გადასძახათ: „რას ჰხე-  
დავთ დასაძრახისსა, დედი ჩემის დედამთილი  
ამ კაცის დედა იყო!“

რა ნათესაობა ჰქონიათ?

---

## წალმა-უკუღმა

ატამი ითესა, ასეთი იმატა.  
ივანე მომე ნავი.






## უცნაური თაიგული



აბა კარგა დააცქერდი ამ თაიგულს.  
თუმცა შიგ ბევრი სხვა-და-სხვა ყვავილები  
არ არის, მაგრამ სამაგიეროდ ამაში ისეთი  
საიდუმლო რამ იფარება, რაც არც ერთ ნა-  
მდვილ თაიგულში არ მოიპოვება.

აბა, გაიგე, რა არის და რამდენია?



ზ მ ა

რი კაცი ქუთაისს მიდიო-  
და. ამ დროს იქიდგან  
მეფე ფილიპეს მოურავი  
მოდიოდა და თან ხელში  
რალაც ეჭირა. ერთმა სთქვა: სელიაო;  
მეორემ უპასუხა, — არა, კანაფიაო. — მაშ  
კარგი, აი ახლოს მოვა და ვკითხვითო,  
სთქვეს ორივემ და მოულოდინეს მოურავს.  
მაგრამ პირდაპირ კითხვა კი არც ერთს  
არ უნდოდა. მოურავი რო კარგა მოუ-  
ახლოვდათ, მაშინ ერთმა იმათგანმა ასე  
დაუძახა: „მოურავო! მეფეს ელიან?“ — არა,  
ბატონო, გაკანა ფილიპემ თავიო, — გამო-  
სძახათ მოურავმა.



ტკბილი კოკაშია. — ჯერ ეკლები გაიარე.  
აქე თორე ეწყინება. — ფანსა დანით ვერას  
აწნებ. — სად არის აბა ქართული სახელები?  
— მეღანამ დაფარულად სახლში კაღს  
მიიტანა.

## შეიძლება?



სანთლის გუთანს ავაშენებ,  
შიგ შევაბამ უღელ დევსა;

ზღვაში ვხნავ და ზღვაში ვთესავ,  
მშრალზე ვინადირებ თევზსა;  
ყინულზე კალოს გავლეწავ,  
მორევშია ჩავყრი ბზესა;



ჭინჭველას გოდორს ავკიდებ,  
კამბეჩებს დავუყრი თხლესა;  
ჯორს კურდღელს გამოვუყენებ,  
აქლებს ვაჭვრინებ მწყერსა.

## გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

**მ**რთი რამე სულიერი  
მინდორს დადის მწყერივითა,  
შეშა დააქვს, ცეცხლსა უფროთხის,  
მკრთალი არის ქალივითა;  
მე მინახავს თავადები,  
დაჰყვებოდნენ ყმანივითა.



**შ**აგი შამრეში მეფისა,  
მალლა ამღები ფეხისა;  
ლაგამს ვერავინ აუგდებს,  
კაცი ამ ჩვენი ქვეყნისა.



რეზუსები

ღმ 1

ბ ტონ

ბე უ

ს დრო

ფრი დ

სარი დ

ო ისე

დარე ჯ

ფ ნაოზ

ავ თ დილ

ს იელ


სი დ ია

ს 100


100 კო

ყ ა ე

## ვანქის ხიდი




როხელ ააშენეს ერთი ხი-  
დი. შეხედულობით ხიდს  
არა უჭირდა-რა, მაგრამ,  
როდესაც ხალხი ზედ შედგა,  
ხიდი ჩატყდა ღ ხალხი თან ჩაიტანა. აქედგან



ამ ჩვენ ხიდსაც იმის სახელი დაერქვა: შე-  
სახედავად ამასაც არა უჭირს-რა, მაგრამ  
სანდობი-კი არც ეს არის.

აი გეგმაც ჩვენი ხიდისა: უყურე და  
 ისე აკეთე. დაღე ჯერ მაგიდაზე წკირა



№ 1, დააღე ზედ თავები წკირებისა № 2  
 და № 3; გასღე ამათზე გარდიგარდმო წკი-  
 რა № 4; ასწიე მერე ფრთხილად № 1 და  
 შეუწყე ქვეშ № 5 და № 6; გასღე გარდი-  
 გარდმო ამათ ზემოდგან № 7 და თავებ  
 ქვეშაც შეუგორე № 8; ასწიე მერე სიფრ-  
 თხილით ეს წკირა, № 8, და შეუწყე ქვეშ  
 № 9 და 10 ისე, რომ შუა წელზედ მოექ-  
 ცეს ამათ № 8 და თავები-კი შეწყობილი  
 ჰქონდეთ № 7-ზედ. მიჰყე მერე სულ ამ  
 რიგობით და აკეთე—რა სიგრძისაც გინდა.  
 მხოლოდ დიდი სიფრთხილეთ საჭირო, თო-  
 რე ვანქის ხიდივით ესეც ერთბაშად იგრი-  
 ლებს და ჩაიფუშება.



## საწერი

მიუმატეთ თავში ამ სიტყვებს სათითაოდ  
შემდეგი ასოები და დასწერეთ რა გამოვა:

ანი—ბ, დ, ზ, კ, ლ, ნ, ს, ტ, ფ, ქ, ლ, შ, ხ, ჯ.

ალი—ბ, ვ, ლ, მ, ნ, ს, ტ, ქ, შ, ც, ძ, ჭ, ხ.

კრი—ბ, გ, ს, ფ, ქ, ლ, ც, ჭ, ჯ.

ელი—ბ, ვ, ლ, ნ, ს, ყ, ც, ძ, წ, ხ.

ირი—ვ, კ, ნ, პ, ს, ჩ, ძ, ჭ.

ილი—მ, ც, ფ, ლ, ძ, წ, ჭ, ხ.

ორი—გ, ლ, მ, ქ, ლ, შ, ჭ, ჯ.

ოლი—ბ, დ, ზ, მ, ს, ტ, ც.

ური—მ, პ, ფ, ყ, შ, ც, ჭ.

ული—გ, ლ, მ, ს, ფ, ჩ, ც, წ.

ინა—ბ, ვ, თ, მ, პ, ფ, შ, წ.

ომი—გ, ლ, რ, ტ, ლ, ც.


ალა—გ, კ, ლ, მ, ს, ქ, ლ, ჩ, ძ, ჭ.

ელა—გ, დ, ზ, თ, კ, მ, ნ, წ.






## მობრილი წკირა




იღე ერთი წკირა, გადატეხე ზედ შუაზე და დადებოთლის პირზე. მხოლოდ გადატეხაში ყველა ძაფები არ დააწყვიტო. დაადე მერე ზევიდგან უზალ-



თუნიათ ან თეთრი სამშაურიათ და აბა ისე ჩაადე ბოთლში ეგ ფული, რო ხელი

არ ახლო არც ბოთლს, არც წკირას და  
არც ფულს?

გაგიჭირდა ძალიან? დაისველე თითი  
წყალში და დააწინწკლე წკირას ერთი წვე-  
თი წყალი ზედ იმ გადატეხილ ადგილს. მა-  
შინ ის ძაფები, რაც-კი დაწყვეტილი არა  
ჰქონდა, სისველისაგან გაიყენთება, გაიშ-  
ლება, გაჰშლის თითონ წკირასაც და ფუ-  
ლიც, რაკი ძირი გამოეცლება, ბოთლში  
წკარანს მოიღებს.



## ს ა წ ე რ ი

მიუმატეთ ამ სიტყვებს თავში შემდეგი  
ორ-ორი ასო:

აწი — გვ, ოთ, ოლ, კვ, მხ, ქმ, ღვ, ჩქ,  
ცვ, ძმ, ჯვ.

აღი — აღ, ბრ, ეკ, თვ, კვ, მხ, რძ, უფ,  
ძვ, წყ, ხმ, რკ.

ელე — აბ, გვ, ქს, მგ, ულ, ქვ, ყვ, წნ, ბნ,  
გძ, თხ, მთ, სქ, ცხ, ძვ, ძნ, ჭრ, ხმ.

ილი — თხ, კბ, მტ, შვ, ცვ, გრ, თბ, თლ,  
რბ, შლ, ყრ, ჭრ.

ინი — გმ, გზ, მწ, უბ, ჩხ, ძვ, წკ, ხშ.


ოლი — ბრ, გნ, მე, რგ, ობ, ოლ.




## გამოცანა

ერთი რამ ტურფად ნაზარდი  
ფეხს შეიღებავს ინითა,  
არცა სჭამს მარილიანსა,  
არც დაითვრება ღვინითა;  
ვინც წიგნი იცის, მიჰხედება:  
ქან, ონ, რაე და ინითა...


ერთი რამე სულიერი  
დაიარების ჩოჩვითა,  
ფეხებში ბორკილს გაიყრის,  
შვილებს დაარჩენს ბლოჭითა;  
თუ შენ ამას გამოიცნობ,  
ხვალ გაგისხნილებ გოჭითა.



## ცელქი შევირდები



რთ მასწავლებელს ორი ცელქი მოსწავლე ჰყვანდა. მასწავლებელს იმათგან თავი ჰქონდა მობეზრებული და, რო ველარა გააწყობა,



გადააბა ერთმანეთზე თოკებით, როგორც აქა გვაქვს ნაჩვენები, და ისე დაყარა.

მაგრამ სანამ მასწავლებელი უკან მოტ-  
რიალდებოდა, ყმაწვილები გათავთავადე-  
ბულიყვნენ. მოვიდა მასწავლებელი, დაა-  
თვალიერა: არც გაჭრილი იყო თოკი, არც  
გახსნილი და გაუკვირდა.


როგორ გაითავთავადეს თავი ყმაწვი-  
ლებმა?



## მამლის გაშტერება




ასეი მამალი შავს მაგიდაზე, დაადებინე ზედ ნისკარტი, აილე ცარცი და იმისი ნისკარტიდგან დაწყებული გაიყვანე მაგიდაზე სწორე ხაზი. თან კი ჯიჯლიბო უნდა ჰქონდეს აწეული, რო ხაზს



თვალი კარგა გააყოლოს. სანამ შენ ერთი არშინის სიგრძეზე ხაზს გაავლებდე, მამალი სრულიად გაშტერებული იქმნება და, ხელიც რო აუშვა, ისე გაშეშებული დარჩება.

## მოჯადოებული ტყე




მას წინად ერთ ტყეში  
ვიყავ. ტყე იყო მშვენიე-  
რი: რა ხეს, რა ბალახს  
იტყოდა კაცი, რომ იქ არა  
ყოფილიყო. ხეებს სულ რაღაც მახინჯი ტო-  
ტები და ღეროები ჰქონდა; ფოთოლი ხო,  
ისეთი ფოთოლი ესხა, რო მე ჩემს დღეში  
არსად მინახავს. აქეთ-იქიდგან მოისმოდა  
სხვა და სხვა გვარი ხმა ცხოველებისა, მაგრამ  
თითონ ცხოველი კი არსადა სჩანდა, მოძრა-  
ობა არსად იყო—ფოთოლიც კი არ ირხე-  
ოდა. მივიარ-მოვიარე იქაურობა, დავათვა-  
ლიერე და მივხვდი, რომ ეს ტყე მოჯადოე-  
ბული უნდა ყოფილიყო. გული შემიშინდა  
და გამოვეჩქარე, მაგრამ სურათის გადაღება  
მაინც მოვასწარ. აი იმისი სურათიც.  
ესაღე, ეგების ჯადო როგორმე დაარღვიო




და ცხოველები გაანთავისუფლო. მცირედი  
მოთმინება, გულის ყურით დათვალე რება  
და ჯადო თავის თავად დაირღვევა.



# უნებური მოძრაობა



იღე ორი წკირა. ერთს ცოტად თავი გაუბე, მეორეს თავი სოლსავეთ წაუთალე და ერთმანეთში გასჭედე. მიჯექ მერე მაგიდასთან, დაიჭი



ხელში ბრტყელი დანა და დააჭი მაგრა მკლავი მაგიდას. დანას უნდა პირი ზევითა

ჰქონდეს, ყუა ქვევით. შესვი მერე დანის  
პირზე ის ორკაპი წკირა და ხელი იმ  
სიმაღლეზე გეჭიროს, რო წკირას ფეხები  
ოდნავ ეხებოდეს მაგიდას. უყურე, უყუ-  
რე—წკირა თავისთავად დადის!

გამოსჭერ ეხლა, თუ გინდა, სქელი  
ქალაღდის სალდათი, დაუხატე ზედ ცხვი-  
რი, პირი და თვალები. ჩაურჭე იმ ორკაპ  
წკირას, მოუკაკვე თანაც ფეხები და დრო  
გაატარებინე შენს პატარა ძმას.



## გამოცანები


**ღ**ედასა შვილი მოვტაცე,  
სხვას მივაბარე ეულსა;  
შევკარ და შევახოჭიჭე,  
თავიც შევუკარ სნეულსა;  
ვინც ნახა, ყველა ჰკვირობდა:  
ეს რა უქმნია წყეულსა!

**ქ**რთი რამ არის ასეთი,  
უმიწოდ გაიზრდებისო,  
მოხენა, ზომკა და მოლეწვა,  
არც ერთი მოუნდებისო,  
და იგი ყოველ წელიწადს  
ძირით ამოიფხვრებისო.




რეზუსები


I'



ს მ



დარბის



## ამოცანა



რომა კაცმა თუმნის სავაჭრო იყიდა და ოცდახუთ მანათიანი ქალაღის ფული მისცა. მეღუქნეს ხურდა არა ჰქონდა და ბიჭი მეზობელთან აფრინა. ბიჭმა ფული მოიტანა და თხუთმეტი მანათი ხურდა მყიდველს პირდაპირ ხელში ჩააბარა. როდესაც მუშტარი წავიდა, მოვარდა გადაფითრებული მეზობელი და შესჩივლა მეღუქნეს, რომ ფული ყალბი გამოდგაო. მეღუქნე პატიოსანი კაცი იყო და მეზობელს კარგი ოცდახუთ მანათიანი მისცა.


რამდენი წააგო მეღუქნემ?



# სამშობლოს ვეჭრფი



აკეთებინე ერთი პატარა კოლოფი ისე, რომ შიგ ჩაეწყოს 16 ტოლტოლი ოთხკუთხი ხის ნაჭერი. აი, როგორც აქა გვაქვს ნაჩვენები. თითო ოთხ-



კუთხს დასვი ზედ თითო ასო. თხუთმეტ


ოთხ-კუთხს წააწერ სულ შემდეგ 15 ასოს:  
ი, ფ, რ, ტ, ე, ვ, ს, ო, ლ, ბ, ო, შ, მ, ა, ს,  
და მეთექვსმეტე ოთხკუთხს-კი სრულიად მოა-  
შორებ, საჭირო არ არის. მერე მიჰყე და  
ისეთის წყობით დაალაგე, რო ამ ასოებისა  
შესდგეს სიტყვები: „სამშობლოს ვეტრფი“,  
მხოლოდ დალაგების დროს არც ერთი ოთხ-  
კუთხი კოლოფიდგან არ ამოიღო, შიგვე  
მისწივ-მოსწივე და ისე უცვალე ხოლმე  
ადგილი.





## აღსნა

- გამოცანებისა, წებუსებისა და ამოცანებისა
- 3 გვ.—ტომარა, ცა, წაბლი.
- 6 გვ.—მამა-შვილი.
- 7 გვ.—სამი შავი სახეა ღ შვიდიც თეთრი.
- 10 გვ.—ირემი, რწყილი.
- 18 გვ.—ქორი, ობობა.
- 23 გვ.—მაიმუნი, ცხენი, აქლემი, სპილო,  
ნიანგი (ხვითქი).
- 26 გვ.—ნამყენი, ირმის ჩახა.
- 27 გვ.—ერთხელ წაველ საყდარშია; აქ-  
ლემი კუზიანია; მგელი ცხვარში  
დაერია; კატა თაგვის მჭამელია;  
თაეშიშველი მზეზე დარბის.
- 28 გვ.—სამ თუმან ნახევარი.



37

5949

ვლ. აღნიაშვილის მიერ

ხელმძღვანელოები:

- 1) „ან“, წერა-კითხვა . . . . . 10 კ.
- 2) „ბან“, წვრილი ხალხური ლექსები . . . 10 კ.
- 3) „გან“, წვრილი ხალხური ამბები . . . . 10 კ.
- 4) „დონ“, წვრილი ხალხური ამბებივე . . . 10 კ.
- 5) „ენ“, გასართობი . . . . . 10 კ.
- 6) უბის ლექსიკონი . . . . . 30 კ.
- 7) ხალხური ზღაპრები წიგნი I, გამოცემა  
„ქართველთა ამხანაგობისა“ . . . . . 40 კ.
- 8) „Первый шагъ“ въ изученіи грузинскаго языка, გამოცემა „ცენტრალური წიგნის მაღაზიისა“ . . . . . 30 კ.

—o—o—o—

დამზადებულია და ამ ცოტას ხანში დაიბეჭდება:  
„ვინ“, „ზენ“, „თან“, „ინ“, „კან“, — პირველ-და-  
წყებითი ცნობები: მინერალოგიიდან, ბოტანიკი-  
დან და ზოოლოგიიდან.

